



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/890

10 / ივლისი / 2019 წ.



KA000058762177919

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N 669 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მონუმენტის ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 24 დეკემბრის, N 21/58 დადგენილების შესაბამისად და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 5 (ხუთი) ერთეული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 30 მაისის, N 13/35 განკარგულების საფუძველზე და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 05 ივლისის, N 111 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული 2019 წლის 09 ივლისის, N9/151 აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნის საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე დანართი N 1-ში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. სარგებლობაში (იჯარა) გადაცემის ვადად განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) თვე, სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული:

ა) ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.749 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 94.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა N 1-ის (განაშენიანების ფართობი - 78.7 კვ.მ.) 15 (თხუთმეტი) თვის საწყისი ქირის საფასური განისაზღვროს 3245.00 (სამი ათას ორასორმოცდახუთი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 649.00 (ექვსასორმოცდაცხრა) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 324.50 (სამასოცდაოთხი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით.

ბ) ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.748 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 100.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა N 1-ის (განაშენიანების ფართობი - 84 კვ.მ.) 15 (თხუთმეტი) თვის საწყისი ქირის საფასური განისაზღვროს 3312.50 (სამი ათას სამასორმეტი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 662.50 (ექვსასსამოცდაორი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 331.25 (სამასოცდაათერთმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარით.

გ) ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.747 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა N 1-ის (განაშენიანების ფართობი - 77.65 კვ.მ.) 15 (თხუთმეტი) თვის საწყისი ქირის საფასური განისაზღვროს 3761.25 (სამი ათას შვიდასსამოცდაერთი და ოცდახუთი თეთრი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 752.25 (შვიდასორმოცდათორმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 376.13 (სამასსამოცდათექვსმეტი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარით.

დ)ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.746 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 153.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა N 1-ის (განაშენიანების ფართობი - 120.6 კვ.მ.) 15 (თხუთმეტი) თვის სანყისი ქირის საფასური განისაზღვროს 4784.00 (ოთხი ათას შვიდასოთხმოცდაოთხი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 956.80 (ცხრაასორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 478.40 (ოთხასსამოცდათვრამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით.

მუხლი 4. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2019 წლის 11 ივლისის 15:00 საათიდან, 2019 წლის 16 ივლისის 15:00 საათამდე.

მუხლი 5. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო თვის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

მუხლი 6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სახელშეკრულებო თანხის 50% გადაიხადოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხა ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე, რომელშიც გადახდილად ეთვლება მის მიერ „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა.

მუხლი 7. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423212 (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, მიღებული შემოსავალი).

მუხლი 8. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 9. ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანების სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსდება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poti.gov.ge-ზე განთავსდება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.

მუხლი 11. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემ უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად



გონა კურდღელია